ადამიანის სხეული

დაბალი დონე

საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

ნათია გორგაძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

თბილისი

2020 წელი

ᏏᏅᏂᏏᏓᏀ

შინაარსი

ადამიანის ორგანოების შეთანხმებულად

მუშაობა 3

კოსმონავტები 5

ხელოვნური თანამგზავრები 12

ადამიანის ორგანოების შეთანხმებულად მუშაობა

ჩაიხედე სარკეში.



შენ ხედავ შენს სხეულს.

ადამიანის სხეული ძალიან რთული სისტემაა. სხეულის ყველა ნაწილი შეთანხმებულად მოქმედებს. სხეულის

ყველა ნაწილი ერთმანეთს გრძნობს, ერთმანეთის ესმის და ერთმანეთს ხედავს.

ადამიანის სხეული მანქანასავითაა.

წარმოიდგინე, რომ მანქანას ძრავი გაუფუჭდა. მაშინ მთელი მანქანა ფუჭდება.

წარმოიდგინე, რომ მანქანას საბურავი გაუსკდა. მაშინ საბურავი უნდა შევაკეთოთ ან გამოვცვალოთ.

ზუსტად ასეა ადამიანის სხეული. თუ მისი რომელიმე ნაწილი წყობიდან გამოვიდა, ამას მთელი სხეული იგებს.

ჩონჩხი

ადამიანის სხეულს აქვს ჩარჩო, რომელსაც ჩონჩხი ჰქვია. ჩონჩხი ძვლებისგან შედგება. ჩონჩხში 200-ზე მეტი ძვა-

ლია: ზოგი დიდია, ზოგი კი - პატარა. ჩონჩხის დიდ ჩარჩოში ძვლები ქმნიან უფრო პატარა ჩარჩოებს.



პირველი პატარა ჩარჩო - ჩვენი თავია. თავის ჩარჩოს ჰქვია თავის ქალა.

თავის ქალა ტვინის და სახის ძვლებისგან შედგება.



მეორე ჩარჩოა ტორსი. ტორსი შედგება ხერხემლის, გულმკერდის და მენჯის ჩარჩოებისგან.



მესამე ჩარჩო კი კიდურებისაა. კიდურები - ჩვენი ხელები და ფეხებია.

ხელები - ზემო კიდურებია.

ფეხები - ქვემო კიდურებია.



დასკვნა

ადამიანის სხეულის ჩარჩოს, ანუ ჩონჩხს სახსრები და კუნთები ამუშავებს.



წარმოიდგინე, ერთი ნაბიჯის გადადგმისას ადამიანის სხეულის 200 კუნთი მუშაობს. აი, ასეთი რთული სისტემაა ადამიანის სხეული.